

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N011/16<sup>1</sup> რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

თამარ წულუკიძე (სტუდენტი)

### შეკითხვა

შესაძლოა, სასამართლომ, დანაშაულის მცირე მნიშვნელობის გამო, გაათავისუფლოს ქურდობისთვის ბრალდებული კლიენტი. აღნიშნულის მიუხედავად, კლიენტს მაინც სურს საპროცესო შეთანხმების გაფორმება. უნდა შეუშალოს თუ არა ხელი ადვოკატმა კლიენტის მიერ საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, როდესაც ის მიიჩნევს, რომ მისი საუკეთესო ინტერესი საქმის განხილვის გაგრძელებაა?

### ანალიზი

ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6) კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეთანხმოს საქმის წარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები. ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ. ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელება ემყარება ადვოკატსა და კლიენტს შორის ეფექტურ კომუნიკაციას, რაც ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას საქმის წარმოების პროცესში შეთანხმოს დაცვის სტრატეგია კლიენტთან, რადგან საპროცესო მოქმედებებისას გადამწყვეტ როლს სწორედ კლიენტის ნება ასრულებს. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის შეთავაზებული ვარიანტებიდან დაცვის ქვეშ მყოფმა პირმა უნდა შეარჩიოს მისთვის მისაღები გზა, ხოლო ადვოკატი, რომელიც აგრძელებს საქმის წარმოებას, უნდა დაეყრდნოს კლიენტის ნებას და საქმე წარმართოს მისი ინტერესების შესაბამისად. დაცვის ქვეშ მყოფ პირს ადვოკატმა უნდა განუმარტოს თუ რა სახით არის შესაძლებელი წარიმართოს აღნიშნული საქმე და რა შეიძლება იყოს, კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, კლიენტისათვის საუკეთესო შედეგის მომტანი.

### დასკვნა

ადვოკატმა კლიენტს უნდა აცნობოს საქმის წარმოების შესაძლო გზები და სავარაუდო შედეგები, რის შემდეგაც საქმე წარიმართება კლიენტის თანხმობით შერჩეული სტრატეგიის მიხედვით. თუ კლიენტი, ადვოკატის მოსაზრებით, არ აკეთებს ობიექტურად საუკეთესო არჩევანს, მან უნდა განუმარტოს კლიენტს აღნიშნულის შესახებ, თუმცა, თუ კლიენტი, გარკვეული არგუმენტაციით ირჩევს იგივე გზას და ადვოკატი აგრძელებს მის წარმომადგენლობას, მან უნდა აირჩიოს კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგია. ასევე, რეკომენდირებულია, ადვოკატმა წერილობით დააფიქსიროს მის მიერ კლიენტისათვის აღნიშნული კონსულტაციის გაწევა და კლიენტის თანხმობა კონკრეტულ სტრატეგიაზე.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c91e3c6a484a.pdf/29%20July%202016%20011.16.pdf>